

perioduli samecniero Jurnalı
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

ISSN 2346-8467

agro
AGRO
АГРО **NEWS**

#6

quTaisi – Kutaisi – Кутаиси
2019



**Jurnali warmoadgens
imereTis agroekologiuri asociaciis kavSirisa da
akaki wereTlis saxelmwifo universitetis agraruli fakultetis
Pperiodul-samecniero gamocemas**

saredaqcio kolegia:

lorTqifaniZe roza – (mTavari redaqtori);
avaliSvili nino (swavluli mdivani);

wevrebi: uruSaZe Tengizi; papuniZe vano; SafaqiZe elguja; asaTiani revazi; kopaliani rolandi; jabniZe revazi; kinwuraSvili qeTevani; miqelaZe aleqsandre; Wabukiani rani; qobalia vaxtangi; fruiZe mayvala; CaCxiani-anasaSvili nunu; dolbaia Tamari; yubaneiSvili maka; kelenjeriZe nino; yifiani nino; xelaZe maia; kilasonia emzari; kevlisvili manana; CxiroZe darejani; jobava tristani; wiqoriZe mamuka; TavberiZe soso; Tabagari marieta; kilaZe ramazi; metreveli mariami; RvalaZe gulnara; nemsaze mariami.

saredaqcio kolegiis sazRvargareTis wevrebi:

ioffe grigori (aSS); kavaliauskasi vidaso (litva); Cuxno inna (ukraina); belokoneva-SiukaSvili marina (poloneTi); gasanovi zauri (azerbajjani); mammadovi ramazani (TurqeTi); santrosiani gagiki (somxeTi); saRindiyovi ultemurati (yazaxeTi).

**The magazine is a periodical scientific publication of
Imereti Agro-ecological Association and
Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.**

EDITORIAL BOARD

Lortkipanidze Roza – (Editor in Chief);
Avalishvili Nino – (Academic Secretary);

Members: Urushadze Tengiz; Papunidze Vano; Shapakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Mikeladze Aleksandr; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Metreveli Mariami; Gvaladze Gulnara; Nemsadze Mariam.

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD

Ioffe Grigory (USA); Kavaliauskas Vidas (Litva); Chuxno Inna (Ykraine); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

**Журнал представляет
Периодическое научное издание
Союза агроэкологической ассоциации Имерети и
Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Лорткипанидзе Роза – (главный редактор);
Авалишвили Нино – (Ученый Секретарь);

Члены: Урушадзе Тенгиз; Папунидзе Ван; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Микеладзе Александр; Чабукиани Рани; Кобалия Вахтанг; Приудзе Маквала; Чачхиани-Анасашвили Нуну; Долбая Тамар; Кубанейшвили Мака; Келенджеридзе Нино; Кипиани Нино; Хеладзе Майя; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобав Тристиан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Метревели Мариам; Гваладзе Гульнара; Немсадзе Мариам.

ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Иоффе Григори (США); Кавалиаускас Видас (Литва); Чухно Инна (Украина); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндигов Ултемурат (Казахстан)



Sinaarsi

1

agraruli mecnierEBani
AGRICAL SCIENCES
АГРАРНЫЕ НАУКИ

როზა ლორთქიფანიძე, ნატალია სანთელაძე, გიორგი იაკობაშვილი – კლიმატის ცვლილების გავლენა აჭარის მეციტრუსეობის აგრონიადაგურ გარემოში _____	7
როლანდ კოპალიანი, მარიეტა თაბაგარი, შორენა კაპანაძე – ფეიჭოას კვირტების ბიოლოგიური მდგომარეობის გავლენა კალმების დაფესვიანებაზე იმერეთის (ზაღდათის) პირობებში _____	12
Nunu Chachkhiani-Anasashvili, Nino Kipiani – Implementation of Phytosanitary Monitoring of Pest Diseases Spread on Laurel Leaves in Imereti Region _____	17
ემზარ გორდაძე, ცირა ჟორჟოლიანი – სათაფლიას სახელმწიფო ნაკრძალის სიმბიოტური მაკრომიცეტები _____	20
მაკა ყუბანიეშვილი, ნატალია სანთელაძე – ჰამიდორის ბუჩქის ფორმირების (პიკირების) გავლენა მის მოსავლიანობასა და ხარისხზე _____	24
ლია კოპალიანი, ნინო ყიფიანი, შორენა კაპანაძე, ნატალია ჯინჭარაძე, ია ქანთარია – აზიმინა - ASSIMIN ახალი სუბტროპიკული კულტურა იმერეთის სოფლის მეურნეობაში _____	28
Nino Avalishvili, Lali Lortkipanidze – Qualitative Status of Clay Minerals in Subtropical Podzolic Soils of Imereti _____	33
თათია ხოსიტაშვილი – პომიდვრის სამხრეთ ამერიკული მენაღმე ჩრჩილის <i>Tuta absoluta</i> (Meyrick, 1917) გავრცელება და დაზიანების ინტენსივობა საქართველოში _____	36
ლია კოპალიანი , ნატალია ჯინჭარაძე, ნოე კოპალიანი, ანანო მუშკუდიანი – კელასურის ბუნებრივი ძეგლები (კარსტული მღვიმეები), ისტორიული ძეგლები (კელასურის დიდი კედელი) და ტურიზმის განვითარების პერსპექტივები აფხაზეთში ____	41
Nino Kelenjeridze, Nelly Kelenjeridze – Peculiarities of Table Grape Fertilization _____	45
Natalia Tskitishvili, Roland Kopaliani – Studying some economic characters	



როზა ლორთქიფანიძე, მაია ხელაძე – მეცხოველეობის წარმოების განვითარება იმერეთის რეგიონში _____	52
ეკატერინე კახნიაშვილი – თერმული დამუშავების გავლენა მზა მწვანე ჩაის პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე_	60
ნანა გოგიშვილი – ასკილის ქიმიური შედგენილობის კვლევის შედეგები _____	65
მაყვალა ფრუიძე, შორენა ჩაკვეტაძე, ეკატერინე ბენდელიანი – თუთის (Morus) მცენარის გამოკვლევა და მისი სახალხო - სამეურნეო მნიშვნელობა _____	70
ეკატერინა გუბელაძე – ზოგიერთ მერქნიან მცენარეთა ყვავილობა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში (2018-2019 წელი) _____	75
მარინა კუცია – მცენარეთა მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის ბუნებრივი პესტიციდები _____	82

3 inJineria
ENGINEERING
ИНЖЕНЕРИЯ

ემზარ კილასონია, საბა ნერგაძე, გიორგი ენდელაძე – სატრანსპორტო საშუალებების ტოქსიკურობის ზრდის ფაქტორები _____	91
---	----



perioduli samecniero Jurnal
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL



1

აგრარული მეცნიერებანი
AGRICAL SCIENCES
АГРАРНЫЕ НАУКИ





perioduli samecniero Jurnalī
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ





agronomia

**მეცხოველეობის წარმოების განვითარება
 იმერეთის რეგიონში**

როზა ლორთქიფანიძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

მაია ხელაძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტ. პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

იმერეთში მიწათმოქმედება და მეცხოველეობა ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ამასთანავე რამდენადმე შეზღუდულიც. აქ აშენებდნენ ძროხას, ცხვარს, ცხენს, კამეჩს და ღორს მდინარე ყვირილას ზედა წელის სოფლებში, თითქმის ყველას ჰყავდა კამეჩები, რომელიც დღეს ძლიერ შემცირებულია. მსხვილფეხა პირუტყვი გამწევ ძალადაც გამოიყენებოდა. ძირითადად განვითარებულია რეგიონში მეძროხეობა და გამოირჩევა დიდი სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობით. აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი სავარგულების და განსაკუთრებით საძოვრების მაღალი ხვედრითი წილი ზემო იმერეთშია, სადაც ხელშემწყობი კონკრეტული პირობები გამოიხატება მიწის რესურსების დამახასიათებელი სტრუქტურით, კერძოდ, მასში ბუნებრივი საკვები სავარგულების მრავალფეროვნებით.

ბუნებრივი პირობები და ტურიზმის განვითარების პერსპექტივები მაქსიმალურად მოთხოვნად პირობად მიიჩნევენ მეცხოველეობის განვითარებას, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამრავლებას, მხოლოდ ამით შეიძლება ხორცისა და რძის ნაწარმზე მოხმარების დაკმაყოფილება.

საკვანძო სიტყვები: პირუტყვი, საძოვარი, საკვები ბაზა, ფერმა

ცხ. №1-ში მოცემულია კერძო სექტორის ფერმერული მეურნეობების განვითარება, რომელიც მიმდინარეობს მეტწილად მაღალმთიანეთში. აქვე აღსანიშნავია განვლილი პერიოდი, როდესაც განსაკუთრებით სრულიად გაუმართლებლად ლიკვიდირებული იქნა საჩხერის რაიონის სოფ. კორბოულის მერძეული კომპლექსი (800 ფურზე), ზესტაფონის რაიონის სოფ. როდინაულის (600 ფურზე), ხონის რაიონის (800 ფურზე), ჭიათურის ზონის მანდაეთის (400 სულზე) მერძეული კომპლექსები, რომელთა დაშლა-განადგურებით რეგიონმა დაკარგა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების უდიდესი



რეზერვები, გარდამავალ ეტაპზე აუცილებლობას წარმოადგენდა ამ სამრეწველო მეცხოველეობის საწარმოთა შენარჩუნება, მხოლოდ მათი საკუთრების ფორმის შეცვლით, რაც თავისთავად უზრუნველყოფდა მეცხოველეობის პროდუქტების აუცილებელ წარმოებას და არ გამოიწვევდა მოსახლეობის უკმაყოფილებას, საკარმიდამო მიწის ნაკვეთების შევსების ღონისძიებათა გატარების პროცესში.

ზემოთ ჩამოთვლილი მთელი რიგი კომპლექსების დაშლას სწორედ მიწების პრივატიზაციის ღონისძიების არასწორად ჩატარებამ შეუწყო ხელი. ზესტაფონის რაიონის როდინაულის და წყალტუბოს ზონის საყულის მერძეული კომპლექსების საწარმოო პოტენციალის მკვეთრი დაცემა, მათი სავარგულების მოსახლეობის მიერ არასწორად დანაწილება—მიტაცებამ განაპირობა. მეცხოველეობის პროდუქტებზე მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა საკუთარი რესურსების ხარჯზე, დიდად არის დამოკიდებული მეცხოველეობის, პროდუქციის წარმოების გადიდებაზე და ეკონომიკური პროდუქტიანობის ამაღლებაზე.

1995 წლის მეორე ნახევარსა და 1996 წელს, ქვეყანაში მიმდინარე დადებითი პროცესების შედეგად, რეგიონში პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემცირების ტენდენცია შეჩერდა და მდგომარეობა სტაბილური ხდება, ამასთან ზოგიერთ რაიონში იზრდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა, რასაც ვერ ვიტყვით ღორისა და ფრინველის სულადობაზე, რაც ძირითადად კონცენტრირებული საკვების მწვავე დეფიციტითაა განპირობებული.

იმერეთის რეგიონში შემორჩენილია ცხვრისა და თხის უნიკალური ჯიშები. აღსანიშნავია იმერული ცხვრის მსოფლიო აღიარება, რომლის გენეტიკური პოტენციალი ღრმა მეცნიერული შესწავლის საგანი იყო და იქნება. დარგის აღმავლობა დღეს გამოკვეთილია, მაგრამ აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ფერმებისა და ფარის სიდიდე, ფარის სტრუქტურებში ნერბების რაოდენობის ზრდა, დოლის, წველისა და სხვა პროცესების ჩატარების ვადები, მათი მექანიზაციის საშუალებები. ცხვრის ნორმირებული კვების საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია შერეული საიმედო საკვები ბაზის ჩამოყალიბება. რეგიონისათვის მნიშვნელოვანია ინტენსიური მეღორეობის განვითარება. ხორცის წარმოების ეფექტურობით ღორს, სხვა სახეობებს შორის წამყვანი ადგილი უკავია. წლის განმავლობაში ერთი ძირითადი ნეზვისაგან 1,8–2ტ. ცოცხალი მასის მიღება და მოსახლეობის მაღალკალორიული ხორცით საიმედოდ მომარაგება შეიძლება. დღეს ეს დარგი დაბალრენტაბელურია. მიღებულია ღორის ხორცის წარმოების ძირითადი მიმართულებები: სტაციონარული, ნახევრადსტაციონარული, ბაგურ–ბანაკური, ბაგურ–სამოვრული და მომთაბარე.

სტაციონარული მეღორეობის განვითარება რეკომენდირებულია სპეციალიზებულ მეურნეობებში, მსხვილ კომპლექსებსა და ფერმებში. რეგიონში საუკეთესო პირობებია მომთაბარე მეღორეობის განვითარებისათვის, რასაც ხელს უწყობს ნაყოფის მომცემი ტყის მდიდარი მასივები. ყურადღებას იმსახურებს ჰიბრიდიზაციის ფართოდ დანერგვა, პარალელურად უნდა მოხდეს საკვები ბაზის სრულყოფა. აუცილებელია სანაშენე რესურსების გაფართოება.



მეზოცვრეობას რეგიონში საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს, იგი დიეტური ხორცისა და ტყავ-ბეწვეულის წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვაა. შენახვის, მოვლის, კვებისა და ტექნიკური ციკლის ზუსტი დაცვით ეს დარგი შეიძლება სწრაფად გახდეს რენტაბელური. აუცილებელია მეზოცვრეობის ფერმების განახლება, საბროილერო მიმართულების ხელშეწყობა. სასურველია მოშენდეს მალმწიფადი სახორცე მიმართულების კალიფორნიული, ახალზელანდიური და საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტში გამოყვანილი ახალი ქართული სახორცე-საქურქე ჯიშური ჯგუფის ბოცვერი.

მეცხოველეობის განვითარება პერსპექტივაში შეიძლება სამ ძირითად ეტაპად დაიყოს:

- 1) საკვები ბაზის სრულყოფა;
- 2) ცხოველთა მოვლის, მკურნალობის, შენახვის დონის ამაღლება;
- 3) ცხოველთა ჯიშური გაუმჯობესება.

საკვებწარმოება დღესდღეობით ყველაზე ჩამორჩენილი დარგია. ქვეყანაში მეცხოველეობის მოთხოვნილება საკვებზე დღეისათვის შეადგენს ორნახევარ მილიონ ტ. საკვებ ერთეულს, ფაქტიურად ორივე სექტორში საკვებით უზრუნველყოფა არ აღემატება 50–60%-ს, თუ გავითვალისწინებთ საკვები საშუალებების სრულფასოვნებას, პროტეინით უზრუნველყოფას, საკვების ხარჯვა ერთეულ პროდუქტზე კიდევ უფრო გაიზრდება, დაკმაყოფილების მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდება.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და ამიტომ საკვები ბაზის განმტკიცების ძირითად საშუალებად უნდა მივიჩნიოთ საკვები კულტურების საჰექტარო მოსავლიანობის გადიდება და საკვების ხარისხის ამაღლება. წინააღმდეგ შემთხვევაში გაჭირდება მეცხოველეობის სწრაფი განვითარება და რენტაბელურ შემოსავლიან დარგად გადაქცევა. კიდევ უფრო ძნელი იქნება ცხოველთა მაღალპროდუქტიულობის მიღწევა, რადგანაც საკვები ბაზა და კვების რეჟიმი განაპირობებს ჯიშობრივ მაჩვენებელთა შენარჩუნებას, პოტენციალურ შესაძლებლობათა გამოვლენას და საერთოდ მეცხოველეობის პროდუქციის მატებას. საკვები ბაზის განმტკიცების ყველაზე მნიშვნელოვან, რეალურ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ შუალედური კულტურების მოვლა-მოყვანა, რომელიც ამავე დროს მიწის რაციონალური გამოყენების ერთ-ერთი გზაა და მოსავალს იძლევა მეცხოველეობისათვის ისეთ კრიტიკულ პერიოდებში, როგორცაა გვიანი შემოდგომა (ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბრის პირველი ნახევარი) და ადრეული გაზაფხული (თებერვალი, მარტი და აპრილის პირველი ნახევარი).

მეცხოველეობა საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საკვები ცილის (პროტეინის) ნაკლებობას განიცდის. ეს დეფიციტი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია და ძირითადად 12–15%-იდან 20–25%-მდე მერყეობს. ჩვენს ქვეყანაში კი საკვები პროტეინის დეფიციტი 40–45%-ს შეადგენს. ამიტომ აუცილებელია საკვები ბალახები ძირითადად წარმოდგენილი იყოს ისეთი საკვები პარკოსანი კულტურებით, როგორცაა იონჯა, სამყურა, ესპარცეტი, ცერცველა და სხვა. მარცვლოვანი პარკოსნებიდან კი ბარდა და სოია. სასილოსედ სიმინდი უნდა ითესებოდეს ბარდასთან ან სოიასთან



შერევით, რათა სილოსში გაიზარდოს პროტეინის შემცველობა, რომელიც სიმინდის სუფთა მასაში ძალზე მცირეა. სხვა შემთხვევაში ამავე მიზნისათვის უნდა იქნეს გამოყენებული კარბამიდი (შარდოვანა), რომლის 0,5%-ის მომატება (რაც 1 ტ. სასილოსე მასაზე 5 კგ შეადგენს) წყალხსნარის სახით, ორჯერ ადიდება პროტეინის შემცველობას სილოსში.

მეცხოველეობის საკვებ ბაზას კიდევ უფრო ასუსტებს დარღვევები ფურაჟის დამზადების ტექნოლოგიაში, რის გამოც იზრდება დანაკარგები, ქვეითდება გამოყენების კოეფიციენტი და დაბლდება კვების ღირებულების მაჩვენებლები. მაგ. თივის დამზადებისას ირღვევა მწვანე მასის მოთიბვის ვადები, ხშირად ბალახი ითიბება დაგვიანებით, როცა მცენარე გადამწიფებულია და დაკარგული აქვს საყუათო ნივთიერებათა მნიშვნელოვანი ნაწილი. ამას ემატება შრობის პროცესში დარღვევები, გათიბვის დასველება, გადახმობა და სხვა არასასურველი პროცესები, რომელთა ხარჯზე კიდევ უფრო უარესდება დამზადებული საკვების ხარისხი.

ცხოველთა დაბალ პროდუქტიულობას საკვების უხარისხობასთან ერთად მნიშვნელოვან წილად ისიც განაპირობებს, რომ არ ხდება მისი კვებისწინა მომზადება, ცუდად არის გამოყენებული საკვების შემამზადებელი საამქროები, რის გამოც მცირდება ფურაჟის ათვისების კოეფიციენტი, სამაგიეროდ პროდუქციის ერთეულზე იზრდება საკვების დანახარჯები და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება. საკვების შემზადების ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და თერმული მეთოდების კომბინირებული გამოყენებით შესაძლოა ჩალის კვებითი ღირებულების ორჯერ გადიდება. დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც მარცვალ-ფურაჟის უკმარისობა საკმაოდ საგრძნობია, დიდი მნიშვნელობა აქვს ე.წ. კომბინირებული სილოსის წარმოებას მეღორეობასა და მეფრინველეობაში გამოსაყენებლად. ცნობილია, რომ ღორისა და ფრინველის ულუფის 70–80% კონცენტრირებული საკვებით არის წარმოდგენილი (უკეთეს შემთხვევაში), ფაქტიურად კი უფრო ხშირად 100%-ს შეადგენს. კომბინირებული ანუ სპეციალური სილოსის წარმოება და გამოყენება ღორისა და ფრინველის კვებაში, საშუალებას იძლევა კონცენტრირების ხვედრითი წილი ულუფაში შემცირდეს 60–70%-მდე, რითაც ათასობით ტ. მარცვალ-ფურაჟი დაიზოგება.

მიუხედავად აღნიშნულისა პრივატიზებული ფერმის შენობების მესაკუთრეთა ნაწილმა გააუქმა, ვინაიდან ვერ შეძლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შეძენა სრულად არსებული ფერმის თანამედროვე მოთხოვნების პირობების დასაკმაყოფილებლად, რაც სახელმწიფოს დახმარებას საჭიროებს. დღეს მათი შენარჩუნების გზა თითქმის არ ჩანს, რაც თავისთავად გამოიწვევს ამ კომპლექსების განადგურებას. არადა უფრო მეტიც ამ ეტაპზე არც ერთი კერძო სტრუქტურა არ გამოთქვამს სურვილს მათ შესყიდვაზე, რადგან არსებული ობიექტური სიმძნელების დაძლევა პრაქტიკულად შეუძლებელია (საბრუნავი კაპიტალის სიმცირე). არც შესაძლო უცხოური ინვესტიციების გამოყენება მოგვცემს ამ ეტაპზე რაიმე დადებით შედეგს, რადგან პრაქტიკულად იგივე სიმძნელები დარჩება გადაუჭრელ პრობლემად. უფრო მიზანშეწონილი იქნება სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება ამ საწარმოთა მიმართ.



**მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო
აღწერის მონაცემებით რაიონების მიხედვით**

იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტები	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი სულადობის მიხედვით									
	მეურნეობაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1 სული	2 სული	3-4 სული	5-6 სული	7-9 სული	10-14 სული	15-19 სული	20-29 სული	30-49 სული
პირუტყვი სულ რეგიონში 93316	B	C	D	E	F	G	H	I	J	K
ტყიბულის რ-ნი	4127	1054	1376	1304	304	58	23	1	2	5
წყალტუბოს რ-ნი	12462	2187	3069	3693	2333	633	518	14	4	4
ჭიათურის რ-ნი	9988	1774	3460	3823	804	101	15	3	2	6
ბაღდათის რ-ნი	5572	1099	2287	1519	375	134	89	45	20	4
ვანის რ-ნი	7891	1017	3265	2686	675	188	43	9	4	3
ზესტაფონის რ-ნი	11401	3348	4042	3236	625	108	24	9	6	2
თერჯოლის რ-ნი	10757	1017	3405	4545	1110	639	32	2	5	1
სამტრედიის რ-ნი	8411	2406	2490	2538	700	186	78	8	3	2
საჩხერის რ-ნი	10188	2321	4040	3136	532	105	43	4	2	4
ხარაგაულის რ-ნი	6434	716	1897	2544	1004	230	38	4	1	—
ხონის რ-ნი	6085	2021	1528	1647	603	182	79	17	5	2

იმერეთის რეგიონი	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი სულადობის მიხედვით
------------------	--



perioduli samecniero Jurnal
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ



ონის მუნიციპალიტეტი	მეურნეობაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	50-69 სული	70-99 სული	100-199 სული	200-299 სული	300-499 სული	500-999 სული	1000 სული
პირუტყვი სულ რეგიონში 93316		L	M	N	O	P	Q	R
ტყიბულის რ-ნი		-	-	-	-	-	-	-
წყალტუბოს რ-ნი		3	4	-	-	-	-	-
ჭიათურის რ-ნი		-	-	-	-	-	-	-
ბაღდათის რ-ნი		-	-	-	-	-	-	-
ვანის რ-ნი		1	-	-	-	-	-	-
ზესტაფონის რ-ნი		1	-	-	-	-	-	-
თერჯოლის რ-ნი		-	1	-	-	-	-	-
სამტრედიის რ-ნი		-	-	-	-	-	-	-
საჩხერის რ-ნი		1	-	-	-	-	-	-
ხარაგაულის რ-ნი		-	-	-	-	-	-	-
ხონის რ-ნი		1	-	-	-	-	-	-

აუცილებელია გატარდეს ბუნებრივი სათიბებისა და სამოვრების პროდუქტიულობის გადიდებისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებები.

იმერეთის რეგიონში საკვები რესურსები ძირითადად ბუნებრივი სათიბ-სამოვრებიდან იქმნება, რასაც მიწათსარგებლობის სტრუქტურაში ამ სავარგულების მაღალი ხვედრითი წონა განაპირობებს. 1995 წლის მონაცემებით, იმერეთის საზოგადოებრივ მეურნეობებში საკუთარი წარმოების საკვების მოხმარების სტრუქტურაში ბუნებრივი საკვები სავარგულებიდან მიღებული საკვები 60,5%-ს, მათ შორის, სამოვრებიდან მიღებული საკვები - 46,3%-ს, მინდვრიდან მიღებული საკვები - 37,0%-ს, ცხოველური წარმოშობის 2,3%-ს და დანარჩენი საკვები 0,2%-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ პირობებში საჭიროა გაიზარდოს მინდვრად საკვებწარმოების მოცულობა, რაც უნდა განხორციელდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ბაზაზე. ეს კი მიიღწევა მაღალინტენსიური საკვები კულტურების თესვა-მოყვანით, ახალი ჰიბრიდული ჯიშების თესვითა და პროტეინით მდიდარი საკვები კულტურების მოვლა-მოყვანით.

1985-1995 წლებში უხეში საკვების დამზადება შემცირებულია - 94184 ტ-დან 6665 ტ-მდე ანუ 93%-ით, სილოსის - 97%-ით, ასევე საგრძნობლად შემცირებულია თივის, სენაჟის, ჩალის, ნამჯის და სხვა საკვები კულტურების დამზადების მაჩვენებლები. 1990 წლის მონაცემებით, საზოგადოებრივ მეურნეობებში ერთ პირობით სულზე საშუალოდ გამოყენებული იყო 6,3 ცენტნერი საკვები ერთეული, რაც თავისთავად დაბალი მაჩვენებელია და შეადგენს ქვეყნის შესაბამისი მაჩვენებლის 51,6%. საკვებზე უფრო მაღალი



დონით კმაყოფილდება კერძო სექტორი (მოსახლეობის პირუტყვი), რომელიც ძირითადად იყენებს სოფლისპირა საძოვრებს, ჭაობებს, მდინარეთა კალაპოტებს, ტყის ფერდობებს, ტყის მცენარეთა ნაყოფებს, კვების პროდუქტების ანარჩენებს და სხვა. ამ კატეგორიის მეურნეობებში საკვების მოთხოვნილება კმაყოფილდება 90%-ით, მათ შორის კონცენტრირებულ საკვებზე მხოლოდ 23,8%-ით, უხეშზე 88,5%-ით, საძოვრულ საკვებზე 102,3%-ით.

რეგიონში მეცხოველეობისათვის საკვებწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვა მიწების მელიორაცია, აგრეთვე ფერდობების დატერასება და ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესება. ფერმერული მეურნეობების განვითარება მოითხოვს მცირე გაბარიტიან ტექნიკას და ბუნებრივი საკვები სავარგულების მექანიზებული დამუშავების ახალი ტექნოლოგიების ათვისებას.

ჩვენი კვლევის დასტურად 2004 წლის აღწერის შედეგები გვიჩვენებს, სადაც ნათლად ჩანს დარგის განვითარების პერსპექტივები და სურვილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამრავლებისათვის. სახელმწიფოს დამოკიდებულება კი ამ მხრივ მნიშვნელოვანია და ქმნის ფინანსური შესაძლებლობის მოლოდინს სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტის საფუძველზე, რაც გამოიხატება დარგის ფერმერთა პროფესიული გადამზადებით განვითარებისათვის საგრანტო პროექტების გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ლორთქიფანიძე – "იმერეთის ნიადაგები და სოფლის მეურნეობა", გამომცემლობა "საქართველო" თბილისი 1997წ.
2. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა – "საქართველო", ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2005წ.

Development of animal husbandry production in Imereti region

Roza Lortkipanidze

Doctor of agricultural sciences, Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Maia Kheladze

Candidate of agricultural sciences, Assistant professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Abstract

Keywords: cattle, pasture, food base, farm

Table №1 shows the development of private sector farms, mainly in high-mountainous regions. Nowadays, dairy/livestock farms that in earlier times existed in the villages: Korbouli (800 cows), Sachkhere, Rodinauli (600 cows), Zestafoni, Khoni - (800 cows), Mandaeti (400 cows), Chiatura are not functioning anymore. In the transition period, the Must-Do thing was to maintain



livestock (Industries) enterprises only by changing their form which in itself would procure the production of products and would not cause dissatisfaction of the population for occupying backyard spaces.

The destruction of some complexes contributed to the inadequate land privatization. The sharp decline of the industrial potential of dairy farms/enterprises of Rodinauli (Zestafoni) and Sakulia(Tskaltubo) was caused by the misdistribution of land areas by population. Meeting the basic needs of the population for products at the expense of its resources is highly dependent on animal husbandry production and economic productivity.

Unique breeds of sheep and goats are maintained in Imereti. It is noteworthy that Imeretian sheep's genetic potential has been and will be the subject of deep scientific study worldwide. The growth of this direction is demand-oriented, though it is necessary to increase the number of farms and herd/flocks, the growth of the number of ewes in flocks, milking, periods of other processes and means of mechanization. After overcoming the problem of standardized nutrition of the sheep it is necessary to form a reliable mixed nutritional base. Intensive development of big-farming is important for the region. With the efficiency of meat, production pork occupies the leading position among other species. From one ewe there can be got 1, 8–2t pork per year and thus high-calorie meat can be provided for the population. The main directions of pork production are: stationary, semi-stationary, grouping, field-grazing and nomadic.

Hare breeding has a long tradition in the region, it is one of the important reserves of dietic meat and fur. This direction can quickly become profitable with proper storage conditions, care, nutrition, and maintenance cycles. It is necessary to breed new Georgian special species' hares (Bred by California, New Zealand, and Georgian Zoo-Veterinary Institute).

Animal husbandry development can be divided into three main stages:

- 1) Improving the food base;
- 2) Raising the level of animal care, treatment, and storage;
- 3) Animal husbandry breeding improvement.

Food production is a less developed direction nowadays. Animal husbandry demand for food in the country is about two and a half million tonnes. Food supply in both sectors does not exceed 50-60%. The consumption of food per item will increase, and the rate of satisfaction will decrease if there is taken into consideration the value of food and the provision of protein.

Georgia is a small country and therefore the main effort for strengthening the food chain base should be to increase harvesting and improve food quality. The most important, realistic way to strengthen the food base is to breed crops, which is also one of the ways to rationalize land use and harvest in critical periods such as late fall (October, November and first half of December) and early spring (February, March, and April, the first half). Animal husbandry food base is further weakened by disruptions in forage preparation technologies that on the other hand increase losses, the utilization rate is falling and indicators of nutritional value are reducing. While haymaking the time of green mass harvesting is not ruled, often the grass is mowed down very late, when the plant is ripe and loses significant nutrients. Additionally while drying up there are noticed some problems, such as: wetting, withering and other processes that further deteriorate the quality of food.

Low (Animal husbandry) productivity coupled with poor food quality is conditioned cause of pre-feeding measures that are not taken into consideration. Food mingling plants are not used that decreases forage utilization rates. Food expenses and the cost of products are increased per unit. Combined usage of physical, chemical, biological and thermal methods of food mingling can



perioduli samecniero Jurnalii
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ



double the nutritional value of straw. Combined silos production for livestock and poultry production is of great importance nowadays, especially when a grain-forage deficiency is quite significant. It is known that 70-80% of wine and poultry portion is represented by concentrated food (In the best case), in fact, more often it is 100%. The production or use of combined or special silos in pork and poultry food allows reducing the comparative rate of concentration up to 60-70% which will save a thousand tones grain-forage.

Measures should be taken into consideration in order to increase the productivity and rational use of natural grasslands and pastures. One of the important reserves for animal husbandry production in the region is land reclamation as well as terrace land and improvement of cultivable land. The development of farms requires small-scale techniques and the adoption of new technologies for mechanized processing of cultivated areas.

The results of the 2004 census clearly show the prospects for field development and the main focus for cattle breeding. The state's attitude in this regard is important, financial support is expected based on the priority of the state's agricultural policy - implying professional development activities for the farmers in the frames of the grant projects.